თბილისის “დინამო” – საფეხბურთო ელიტაში

საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის პრესა ვრცელ ადგილს უთმობს თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა დიდ წარმატებას, რომელსაც მათ მიაღწიეს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მიმდინარე გათამაშებაში. ჩვენი გუნდი – პრიზის შარშანდელი მფლობელი – წლეულს უკვე გავიდა ნახევარფინალში, რაც აგრეთვე დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ასეთი საპრესტიჟო ტურნირის ნახევარფინალში გასვლა ერთხელ კიდევ ცხადად მეტყველებს, რომ თბილისის “დინამომ” საფუძვლიანად დაიმკვიდრა ადგილი ევროპის საკლუბო ფეხბურთის ელიტაში, მას ახლა როგორც წესი, კონტინენტის უძლიერეს გუნდებს შორის იხსენიებენ ხოლმე.

დინამოელებმა ნახევარფინალში გასვლის საფუძვლიანი განაცხადი უკვე 3 მარტს გააკეთეს, როცა ვარშავაში მოუგეს “ლეგიას”. ამის შემდეგ გვჭირდებოდა მოპოვებულის შენარჩუნება და განმტკიცება, რაც ჩვენმა გუნდმა საკმაოდ დამაჯერებლად შეძლო. ზოგიერთი მიმომხილველი აღნიშნავდა, რომ ვარშავის მატჩი მეორე ტაიმში “ლეგიას” დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა და თბილისელებმა მხოლოდ ძალების უკიდურესი დაძაბვით, აგრეთვე, მეკარე გაბელიას თავგანწირული თამაშით შეძლეს გამარჯვების მოპოვება. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ საჭიროა გარკვეული კორექტივების შეტანა ამ მოსაზრებაში. ჯერ ერთი, რატომ ფიქრობენ, რომ ვარშავის მატჩი “ლეგიასთან” მაინცდამაინც თბილისის “დინამოს” ტერიტორიული უპირატესობით უნდა წარმართულიყო? თუ “დინამომ” და მისმა მეკარემ მეორე ტაიმში შეძლეს მოეგერიებინათ ვარშაველთა დაწოლა – მით უკეთესი, ეს ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენს გუნდს საფუძვლიანად შეუძენია ის, რაც ადრე აკლდა ხოლმე: დიდად განუმტკიცებია დაცვა, გამოუვლენია მაღალი მორალურ–სანებისყოფო თვისებები და არ მიუცია “ლეგიასთვის” უპირატესობის რეალიზაციის საშუალება. ჩვენ წლების მანძილზე ველოდით დინამოელთაგან ამ მეტად საჭირო თვისებებს და რახან ეს ასე მოხდა, სრული კმაყოფილებაც უნდა გამოვთქვათ ამის გამო.

ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ “ლეგიასთან” მატჩების წინ ჩვენი გუნდი ერთობ რთულ პირობებში იმყოფებოდა: საწვრთნელ თამაშებს აკლდა წამყვან მოთამაშეთა მთელი ჯგუფი, სსრ კავშირის ნაკრების წევრები, ხშირ შემთხვევაში არ გვყავდა მათი შემცვლელებიც, რომლებიც აგრეთვე ემსახურებოდნენ ახალგაზრდული ნაკრების ინტერესებს. ასეთ სიტუაციაში გუნდის შეთამაშება და ჩვეულ ტაქტიკურ ლიანდაგებზე დაყენება იოლი საქმე არ გახლდათ, დინამოელთა მწვრთნელებმა კი ამ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი და, ვფიქრობთ, 17 მარტის თამაშის შემდეგ უფლება გვაქვს ვთქვათ: მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, ჩვენი გუნდი გავიდა ევროპის სოლიდური საკლუბო ტურნირის ნახევარფინალში.

“ლელო”, 20 მარტი, 1982 წ.